N 103 10/04/2020

ოქმი № 3

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

2020 წელი, 30 მარტი

ქ.ოზურგეთი

14.30-15.00 საათი

თავმჯდომარეობდა: გ.ჩაგანავა - მუდმივმომქმედი კომისიის თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ვ.ბერიძე, ალ.ღლონტი, გ.ჩავლეშვილი, მ.ბერიძე, ბ.თოიძე, ტ.არუშიძე, გ.ჩავლეშვილი, გ.მდინარაძე, ბ.ქათამაძე.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე-გ.ღურჯუმელიძე.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1.,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის N32 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ.

მომხსენებელი: გ.ჩაგანავა

თანამომხსენებელი:პ.ჭყონია

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შესრულების IV კვარტლის ანგარიშის მომოხილვის შესახებ.

მომხსენებელი: გ.ჩაგანავა

3. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ.

მომხსენებელი: გ.ჩაგანავა

4. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2019 წელს განხორციელებული შესყიდვების შესახებ ანგარიშის მოსმენის თაობაზე.

მომხსენებელი: გ.ჩაგანავა

თანამომხსენებელი:დ.გორდელაძე

სხდომის თავმჯდომარემ გ.ჩაგანავამ მოკლედ ილაპარაკა მუნიციპალიტეტის 2020 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე, ვრცლად კი ისაუბრა თანამომხსენებელმა პ.ჭყონიამ. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს პროექტის საკრებულოს სხდომაზე

განსახილველად წარდგენას. იმსჯელეს და ასევე მხარი დაუჭირეს მერიის მიერ წარმოდგენილ საკრებულოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტებს: ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შესრულების IV კვარტლის ანგარიშის მომოხილვის შესახებ“;ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ; ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2019 წელს განხორციელებული შესყიდვების შესახებ ანგარიშის მოსმენის თაობაზე”.

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს კომისიის დასკვნა(თან ერთვის) და მუნივიპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი საკრებულოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტები: ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის N32 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“;“ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შესრულების IV კვარტლის ანგარიშის მომოხილვის შესახებ“;ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ; ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2019 წელს განხორციელებული შესყიდვების შესახებ ანგარიშის მოსმენის თაობაზე”. წარდგენილ იქნას საკრებულოს მომდევნო სხდომაზე განსახილველად.

გიორგი ჩაგანავა

კომისიის თავმჯდომარე
საფინანსო-საბიუჯეტო კომისია